სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში
სიმინდის წარმოება

1. შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის აპრილამდე პრაღის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი) მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციასთან - ,,People in Need" და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთისა და რაჭის რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი რეგიონალური პროდუქტის წარმოების სისტემის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია, იმერეთის რეგიონში მცირე ფერმერთა თანამშრომლობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის მერეთის რეგიონში საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD Georgia), როგორც მცირე ფერმერების თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილი.

კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ENPARD Georgia-ს დაფინანსების გარეშე.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა. კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონიდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც გავრცელებულია სიმინდის წარმოება:

- ხონი
- თერჯოლა
- ბაღდათი
- ზესტაფონი

იმერეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პრუდუქტთან დაკავშირებული დარგობრივი მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

- 2014 წლის მარტი - ივნისი კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი;
- 2014 წლის ივლისი - 2015 წლის აპრილი - საბოლოო ანგარიშის სრულყოფა.

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებული იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები.

კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ საკითხებთან და თემებთან მიმართებაში ქცევისა და აღქმის შკალის გამოვლენას. ნახევრადსტრუქტურული, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოყენებულ იქნა, როგორც ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა ისეთ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 2 საათამდე. რესპოდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. შედეგად დღის წესრიგში დადგა ისეთი რესპოდენტების იდენტიფიცირება და ინტერვიუების წარმოება, როგორებიც არიან: სხვადასხვა ზომის ფერმერები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები, ასევე, აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან თესლს, ნერგებს, სხვადასხვა სახეობის სამუშაო იარაღს, ტექნიკას, პესტიციდებს, ჰერბიციდებს, სასუქებს და სხვა ნაწარმს. მესიმინდეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის მონაცემთა შეგროვების საშუალებას წარმოადგენს შემდეგი:

- ინტერვიუები სიმინდის მწარმოებელ ფერმერებთან;
- დაკვირვება-შესწავლა და ინტერვიუები წარმოებისათვის საჭირო ტექნიკისა და შესაწამლი საშუალებლების მიმწოდებლებთან;
- ადგილობრივი ბაზრის შესწავლა.

სურათი 1 - მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა



თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მომაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და ა.შ.

3. მესიმინდეობა - როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

სიმინდი ერთერთი ყველაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურაა მთელ მსოფლიოში, ის ნათესი ფართობებისა და წარმოების მოცულობის მიხედვით ხორბლის შემდეგ მეორე ადგილზეა. სიმინდის დიდი ფართობებით გამოირჩევა არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, უახლოესი მეზობელი ქვეყნებიდან კი რუსეთი და უკრაინა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2006 – 2014 წლები, საქართველოში, სიმინდით დაკავებული მიწის ფართობებმა მოიცვეს 118 ატასი ჰექტარიდან 147 ათას ჰექტარამდე. დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია დამუშავებული მიწი რა ნაწილს მოიცავს სიმინდის რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე. სიმინდის წარმოების გეოგრაფია საქართველოში მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილს, თუმცა ნათესი ფართობებისა და მოსავლის ოდენობით აშკარა ლიდერი დასავლეთ საქართველოა.

დიაგრამა 1 - სიმინდის ნათესების ფართობი და მოსავლის ოდენობა საქართველოში[1]



კვლევის სამიზნე რეგიონში (იმერეთი, რაჭა), ძირითადად სიმინდი მოიყვანება დაბლობ, ვაკე ადგილებში, მდინარეების ყვირილასა და რიონის სანაპიროებზე, სადაც ცხელი ზაფხულის შემთხვევაშიც კი ნიადაგი ინარჩუნეს სიმინდის მიღებისათვის საკმარის ტენიანობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის დაბალი წარმოებისდა მიუხედავად ოფიციალური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში წარმოებულ სიმინდზე არ მოიპოვება. 2013 წელს, ყველაზე დიდი ნაწილი მთლიანი დამუშავებული მიწიდან ქვეყანაში სიმინდი (27%, 100 ათასი ტონა) მოდის იმერეთის რეგიონზე, შემდეგ კი

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

სამეგრელო ზემო სვანეთი მოდის 25% -ანი მაჩვენებლით. დიაგრამა 2 გვიჩვენებს სიმინდის განაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით, ხოლო დიაგრამა 3 - დამუშავებული მიწის ფართობს. იმერეთს აქვს ყველაზე მაღალი - 30% მაჩვენებელი სიმინდის წარმოებაში და ის ითვლის 44 ათას ჰექტარს. ცხადია, ეს რეგიონი ლიდერობს სიმინდის წარმოებაში და ყველაზე კარგი პოტენციალი აქვს განვითარებისათის.

სიმინდი ერთერთი ყველაზე გავრცელებული კულტურა იყო ასევე საბჭოთა კოლექტიური მეურნეობების დროსაც. სიმინდის კულტურა ქვეყანაში საუკუნეების წინათ იქნა შემოტანილი ამერიკის კონტინენტიდან, თუმცა სელექციური სამუშაოების შედეგად შექმნილი იქნა ასევე ადგილობრივი ჯიშებიც, რომლებიც საკმაოდ კარგი მოსავლიანობით და მაღალი საკვები ღირებულებით გამოირჩევა. მაგრამ იმის გამო, რომ სიმინდის მწარმოებელთა უმეტესობა ფლობს მცირე მიწის ფართობებს და მათ მიერ მოყვანილი მოსავლის დიდი ნაწილი განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის, არ იყენებენ თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს წარმოების პროცესში, არ ზრუნავენ მარალპროდუქტიული ჯიშების გამოყენებაზე და ა.შ. საშუალო მწარმოებლურობა 1 ჰა-ზე ძალიან დაბალია. იმერეთის რეგიონში ერთ ჰეკტარზე 2.3 ტონა სიმინდი მოდის (ქვეყნის საშუალო 2.5 ტონაა). მსგავსი მაჩვენებლები სხვა ქვეყნებისთვის კი ასე გამოიყურება: შეერთებული შტატები- 11 ტონა, თურქეთ-9 ტონა, უკრაინა-6 ტონა, და ა.შ.

დიაგრამა 2 - სიმინდის წარმოება რეგიონების მიხედვით[2]



დიაგრამა 3 - სიმინდის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით[3]



[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/
[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/

კვლევამ აჩვენა რომ არსებობს ერთეული, შედარებით დიდი ზომის საქარმოები, რომლებიც აერთიანებენ 10 ჰეკტარზე მეტ მიწას და აქვთ შედარებით მაღალი წარმოება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოსთვის თვითუზრუნველყოფის წილი სიმინდის წარმოებაში მაღალია, 2008 და 2012 წლებში მან 100% მიაღწია, მაშინ როცა 2013 წლის წილი 96% იყო. დიაგრამა 4 გვაჩვენებს სიმინდის მოხმარების ტრენდს სურსათისა და ცხოველთა საკვებისათვის. სურსათის მოხმარებისათვის, 2013 წელს წლიურმა მოხმარებამ შეადგინა 24 კგ ერთ ადამიანზე.

სიმინდის ექპორტისა და იიმპორტის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია. 2013 წელს ორივე მაშვენებელმა მიაღწია მათ მაქსიმუმს, რაც იყო 40 ათასი ტონა ექსპორტისათვის და 56 ათასი ტონა იმპორტისათის. დიაგრამა 5 გვიჩვენებს რომ იმპორტის წილი ყოველთის მაღალი იყო ვიდრე ექსპორტის. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2012 წელს, როცა ექსპორტი და იმპორტი იყო აბსოლუტურად ერთნაირი და შეადგენდა 23 ათას ტონა სიმინდს. ყოველ შემთხვევაში, პროდუქტს დიდი პოტენციალი აქვს ექსპორტში, მაგრამ ამ მომენტისათის არსებული მონაცემები და არსებული სიტუაცია სექტორში არ იძლევა უცხოური ბაზრების მნიშვნელოვან წვდომას, პირველ რიგში არასაკმარისი პროდუქტის რაოდენობის გამო.

მესიმინდეობის განვითარებას და შესაბამისად სიმინდის წარმოების გაზრდას ქვეყანაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, მაგალითად, მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარებისათვის, ასევე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის. ცნობილია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე, მათ შორის ჩვენს მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, სომხეთში, სიმინდზე მოთხოვნა და შესაბამისად სარეალიზაციო ფასი სტაბილურად მაღალია. მეორეს მხრივ, ჩვენს მიერ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მაგალითად, მერძევეობაში, მეხორცეობაში, მეფრინველეობაში ჩატარებულმა ანალოგიურმა კველევებმა აჩვენა, რომ აღნიშნულ დარგებში დაბალი მწარმოებლურობის ერთერთი მთავარი განმაპირობებელი არის არასათანადო საკვები ბაზა, უპირველეს ყოვლისა კი მარცვლოვანი კულტურების ნაკლებობა.

დიაგრამა 4 - სიმინდის სასურსათო და პირუტყვის საკვებად მოხმარების რაოდენობა[4]



[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/

დიაგრამა 5 - სიმინდის იმპორტი და ექსპორტი საქართველოში[5]



კვლევამ აჩვენა, რომ მესიმინდეობაში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში, რაც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ დარგისადმი გამოჩენილი მეტი ყურადღებით, მაღალპროდუქტიული ჯიშის სათესლე მასალის გამოჩენით ქვეყანაში, ასევე სიმინდის გასაშრობი და შესანახი თანამედროვე მეურნეობების შექმნით და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, დარგში განვითარების პოტენციალი გაცილებით დიდია და ამ ეტაპზე მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

4. სიმინდის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 წარმოების სისტემები

რეგიონში არის სამი ტიპის მწარმოებლები:

- საოჯახო მეურნეობები მეურნეობა (1 ჰა-მდე მიწის ფართობით), რომელიც უმეტესწილად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს პროდუქტს და მხოლოდ მცირე რაოდენობით (არა უმეტეს 10%) ნამეტი გააქვს ბაზარზე.
- საშუალო ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობა - მეურნეობა, რომელიც არსებობს ოჯახის ბაზაზე და ფლობს 1-დან 10-მდე ჰექტარ მიწის ნაკვეთს.
- მსხვილი ფერმერული მეურნეობა - მეურნეობა, რომელიც არსებობს ოჯახის ბაზაზე და ფლობს 10 ჰექტარზე მეტ მიწის ნაკვეთს.

იმერეთის და რაჭის რეგიონებში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, 90-იან წლებში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად, სოფლად არსებულ თითოეულ საოჯახო მეურნეობას საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო მიწები. სამიზნე რეგიონებში თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე გადაცემული იქნა 1,1 ჰა-მდე მიწა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მარცვლეული კულტურების, ვაზის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსაყვანად.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/

კვლევამ აჩვენა, რომ საოჯახო მეურნეობები საკუთარი მიწის ფართობის დაახლოებით 70%-მდე გამოყენებენ სიმინდის მოსაყვანად. თუმცა, სიმინდს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის იყენებენ. კერძოდ სასურსათო დანიშნულებით, ასევე შინაური ფრინველისა და ცხოველის გამოსაკვებად და მხოლოდ მცირე ნაწილი გააქვთ ბაზარზე.

სამიზნე რეგიონში ასევე არსებობს ოცდაათამდე საშუალო ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობა, რომლებიც ფლობენ 1-დან 10-მდე ჰექტარ მიწის ნაკვეთს და მას იყენებს სიმინდის მიღებისათვის, თუმცა ისინი, როგორც წესი ამავე დროს ეწევიან მეცხოველეობას (მესაქონლეობა და მეღორეობა), ან მეფრინველეობას და მიღებული სიმინდის მოსავალი, თანამდე პროდუქტებთან (მაგალითად ჩალა) გამოიყენება როგორც საკვები ფრინველისათვის ან/და ცხოველისათვის და არა ბაზარზე სარეალიზაციოდ.

იმერეთის რეგიონში, ასევე არსებობს დაახლოებით 15-მდე სიმინდის მწარმოებელი მსხვილი ფერმერული მეურნეობა, რომელთა პროდუქცია 100%-ით გათვალისწინებულია ბაზარზე გასატანად. ეს ფერმები ძირითადად მდებარეობენ ზესტაფონის, ბაგდათის, თერჯოლასა და ხონის მუნიციპალიტეტებში. მათი უმრავლესობა გამოირჩევა იმით, რომ ყავთ საკუთრებაში სასოფლო-სამურნეო ტექნიკის ნაწილი, იყენებენ ფრანგული, გერმანული და ამერიკული ჰიბრიდული ჯიშის სათესლე მასალას და ყოველივე ამის შედეგად იღებენ საკმაოდ მაღალ მოსავალს.

სიმინდი გამოირჩევა თავისი სპეციფიური მოთხოვნებით მიწის ხარისხთან მიმაღთებაში. ის მოიყვანება დაკარგად იზრდება ორგანული სუბსტანციებით მდიდარ ნიადაგზე სადაც აქვს კარგი წვდიმა წყალთან და ჰაერთან. ყველაზე კარგი მიწა სმინიდის საწარმოებლად მიჩნეულია შავი ნიადაგი. თუ მიწის განოყიერება შესაძლებელია, თიხაც და ქვიშა მიწაც კარგი მოსავლის წყარი შეიძლება გახდეს. ასეთიმიწები გვხვდება იმერეთის რეგიონში-კოლხეთის ხეობაშ, რომელიც ახლოს მდებარეობს მდინარეებთან. იმერეთის რეგიონში, 72 101 ჰეკტარი მიწა დამუშავებულია, რომლის 85%, ექსპერტთა აზრით, გამოყენებულია სიმინდის მოსაყვანად.

სურათი 2. სიმინდის მინდვრები იმერეთში, ზაფხულის პერიოდში.

ფერმერები სიმინდის დასათესად ნიადაგის დამუშავებას ძირითადად შემოდგომაზე იწყებენ, როცა ხდება მისი მზრალად მოხვნა (დაახლოებით 30 სმ-ის სიღრმეზე). მზრალის პირველ კულტივაციას ჩვეულებრივ ატარებენ გაზაფხულზე სარეველების აღმოცენების დასაწყისში თათებიანი კულტივატორით 8-10 სმ-ის სიღრმეზე ერთდროული გადაფარცხვით. ხოლო შემდეგ ხდება ნიადაგში თესლის შეტა

აჩვენა, რომ 1 ჰა მიწის მზრალად მოხვნის ღირებულება არის 140 ლარი; პირველი კულტივაციის (ფერმერები მას გადახვნას უწოდებენ), დაფარცხვის და დათესვის ღირებულება საერთო ჯამში არის 140 ლარი; სიმინდის ნათესების კულტივაცია - 55 ლარი (საჭიროა 2 ასეთი ოპერაცია, რაც ჯამში 110 ლარს შეადგენს). როგორც იმერეთში, ასევე

რაჭაში, საოჯახო მეურნეობების დაახლოებით ნახევარი სიმინდის ნათესის საკულტივაციოდ ჯერ კიდევ იყენებს ცოცხალ გამწევ ძალას - ძირითადად ხარებს და/ან ცხენებს. თუმცა ძირითადად ისინი იყენებენ საკუთარ მანქანებს და/ან ქირაობენ მათ საჭიროების შემთხვევაში.

1 ჰა მიწის დასათესად საჭროა 18-20 კგ თესლი, რომლის ღირებულება 17-დან 20-ლარამდეა კილოგრამზე. თუმცა საოჯახო მეურნეობების დაახლოებით 70% სათესლედ იყენებს საკუთარ მეურნეობაში მოწეულ სიმინდს.

სიმინიდის მოსავალს მნიშვნელოვნად ადიდებს ორგანული სასუქების გამოყენება. მათ გარეშე პრაქტიკულად სამიზნე რეგიონებში სიმინდის მოსავლის მიღება ვერ ხდება, ან იმდენად მცირე რაოდენობით შეიძლება იქნეს მოყვანილი, რომ ეკონომიკურად არამომგებიანია. სიმინდის ძირითად ორგანულ სასუქად ითვლება ნაკელი, რომელიც შეიტანება ნიადაგში შემოდგომაზე მზრალად მოხვნის დროს, გარდა ამისა, ორგანული სასუქებიდან შეიძლება გამოყენებული იქნას ფრინველის ნაკელი და წუნწუხი. ნიადაგში შეტანილი ორგანული სასუქების სარგებლიანობა გრძელდება არა ერთი, არამედ 2-3 წლის განმავლობაში.

სიმინდის მოსავლის გადიდებისათვის ასევე სასარგებლოა მინერალური სასუქები, განსაკუთრებით აზოტი და კალიუმი, რომელთაც სიმინდი დაახლოებით თანაბარი რაოდენობით მოიხმარს, ხოლო ფოსფორს ორჯერ ნაკლებს.

1 ჰა მიწის ფართობს დაახლოებით ესაჭიროება 150-180 კგ აზოტი, 150-200 კგ კალიუმი და 60-70 კგ ფოსფორი. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, საოჯახო მეურნეობები შედარებით უფრო მცირე რაოდენობის სასუქებს იყენებენ ხარჯების ეკონომიის მიზნით, მაგრამ ეს შესაბამის უკუშედეგსაც იძლევა და მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლის რაოდენობას. ადგილობრივ ბაზარზე 1 კგ. აზოტოვანი და კალიუმიანი სასუქის ფასი დაახლოებით 0,9 ლარია, ხოლო ფოსფოროვანი სასუქისა - 1,3-1,5 ლარი.

სიმინდის მოსავალს მნიშვნელოვნად ადიდებს ე.წ. ეტაპობრივი გამოკვებები - სასუქების ეტაპობრივი მიწოდება. თესვისას ამონიუმის გვარჯილა სასურველია შეტანილი იქნას ნორმის 30%, როცა მცენარე მიაღწევს 40-50 სმ-ს - 30%, ხოლო ყვავილობის დასაწყისში - ნორმის 40%. ამასთან, სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღებად უფრო ეფექტურია ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენება, ვიდრე ცალ-ცალკე.

შემოდგომაზე სიმინდის აღებას საოჯახო მეურნეობები ახდენენ ხელით, ხოლო საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი იყენებენ სპეციალურ კომბაინს, რომლის მომსახურება ღირს 250 ლარი ჰექტარზე. აღნიშნული კომბაინი იძლევა უშუალოდ სიმინდის მარცვალს, თუმცა მისი გამოყენებისას იკარგება ჩალა.

საოჯახო მეურნეობები მიღებულ სიმინდს საკუთარ სპეციალურად მოწყობილ სათავსოში, ხოლო საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები, მოსავალს ან მიღებისთანავე ყიდიან, ან კიდევ ინახავენ აბაშაშის მუნიციპალიტეტში არსებულ სპეციალურ მეურნეობაში და იქედან ახდენენ რეალიზაციას წლის მანძილზე.

სამუშაო ძალა. საოჯახო მეურნეობებში, მეურნეობას თავად ოჯახის წევრები უძღვებიან და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ. საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობები კი ძირითადად დაქირავებულ შრომას იყენებენ სხვადასხვა ოპერაციების ჩატარების მიზნით, თუმცა რეგიონში თანამედროვე ტექნიკის შემოყვანის კვალობაზე სულ უფრო მცირდება ადამიანის მიერ ხელით შესასრულებელი ოპერაციების რაოდენობა, რაც პირდაპირპროპორციულად ზემოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

4.2 პროდუქტიულობა

დარგში საშუალო პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია პოტენციურად შესაძლებელ მაჩვენებლებთან შედარებით. დიაგრამა 6-ზე მოცემულია საშუალოდ ქვეყანაში 1 ჰა ფართობზე მიღებული მოსავლის რაოდენობა წლების მიხედვით, რომელიც ყოველთვის უფრო მაღალია ვიდრე იმერეთის რეგიონში. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, ცალკეული მეურნეობები საკმაოდ მაღალ მოსავალსაც იღებენ. დაბალი მოსავალი ძირითადად მიიღება საოჯახო მეურნეობებში, რომლებიც ფლობენ 1 ჰა-ზე სურათი 2 სიმინდის ყანა იმერეთში გაზაფხულზე ნაკლებ სიმინდის ფართობს. ამის მიზეზი არის რამდენიმე, კერძოდ ისინი ვერ ახდენენ მიწის სათანადოდ დამუშავებას შესაბამის აგროვადებში, არ იყენებენ სპეციალურ სათესლე მასალას, ვერ აწვდიან მცენარეს საჭირო საკვებ ნივთიერებებს, არ იყენებენ სარეველების წინააღმდეგ სპეციალურ შესაწამლ საშუალებებს. ყოველივე ეს განაპირობებს, რომ მათ მიერ მიღებული მოსავალი ჰექტარზე 3 ტონას არ აღემატება.

დიაგრამა 6 - სიმინდის საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰექტარი) იმირეთსა და საქართველოში[6]



საშუალო და მსხვილი მეურნეობები, რომლებიც სულ ცოტა 2 ჰექტარზე მაინც თესავენ სიმინდს, იყენებენ სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილ სიმინდის ჰიბრიდულ ჯიშებს, რომლებიც სათანადო მოვლის შემთხვევაში იძლევიან 8-დან 12-მდე ტონა მარცვალს. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი არ საჭიროებს დიდი რაოდენობით ტენს, გვალვიანი ზაფხულის პირობებში, მისი მორწყვა კიდევ უფრო გაზრდის მოსავლის რაოდენობას. გამომდინარე აქედან, ფერმერთა ნაწილი გეგმავს სარწყავი სისტემების დაყენებას მომავალში, თუმცა ამჟამად არცერთი ფერმერი სამიზნე რეგიონში სიმინდის ნათესების მორწყვას არ ახდენს. კველვამ აჩვენა რომ სამიძნე რეგიონებში არის 30-ზე მეტი საშალო

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://geostat.ge/

ზომის და 15 დიდი ზომის ფერმა. ძირითადი ჰიბრიდული ჯიშები, რომლებსაც ისინი იყენებენ და შესაბამისად საშუალოდ აწარმოებენ არის:

- ყვითელი, 90 დღიანი ვეგეტაციით, ჰიბრიდი (PR38R92) – 8 ტონა/სათბური
- ყვითელი, 110 დღიანი ვეგეტაციის, ჰიბრიდი (PR35P12) – 10 ტონა/სათბური;
- თეთრი, 130 დღიანი ვეგეტაციით, ჰიბრიდი (PR32B10) – 11-12 ტონა/სათბური.

ჰიბრიდული სიმინდის მარცვლები მაღალი ხარისხისაა. თუმცა, დამუშავებული სიმინდი არ გამოიყენება შემდეგ დასათესად. ამასთან, ფერმერებმა უნდა შეიძინონ მარცვლები თუ მათ გადაწყვიტეს დაამუშაონ სიმინდი. ჰიბრიდული მარცვლის განვითარება რთული პროცესია და ის ვერ იქნება წრამოებული პატარა ზომის ფერმერის მიერ თავისი ძალებით.

შედარებით განვითარებული ფერმერული მეურნეობების კვლევისას, უკანასკნელი 2 წლის მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ თუ ფერმერი სიმინდს აწარმოებს 10 ჰა–ზე მეტ მიწის ფართობზე, აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესის მეტ–ნაკლები დაცვით მაინც, მის მიერ წარმოებული 1 კგ. სიმინდის თვითღირებულება არის 20-22 თეთრი. ის ძირითადად დამოკიდებულია მოსავლის ოდენობაზე, ასევე იმაზე, აქვს თუ არა ფერმერს საჭირო ტექნიკის თუნდაც ნაწილი მაინც საკუთრებაში, ვინაიდან როგორც ისინი აღნიშნავენ ფერმერთა მომსახურების ცენტრები საკმაოდ მაღალ მოგების მარჟაზე მუშაობენ, საკუთარი ტექნიკით საგრძნობ ეკონომიას აღწევენ.

დარგში პროდუქტიულობის გაზრდისათვის აუცილებელია რამდენიმე კომპონენტის უზრუნველყოფა: მაღალპროდუქტიული ჯიშის სათესლე მასალის გამოყენება, სიმინდისათვის შესაფერისი მიწის ნაკვეთის არსებობა და მცენარის სათანადო მოვლა.

4.3 მესიმინდეობის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთის და რაჭის რეგიონებისათვის

- **სიმინდის მეწარმეები.** საოჯახო მეურნეობები, როგორც უკვე აღინიშნა, მიღებული მოსავლის დიდ ნაწილს თავადვე მოიხმარენ და მხოლოდ ნამეტი პროდუქცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში (არა უმეტეს მიღებული მოსავლის 10%), გააქვთ ადგილობრივ ბაზარზე, სადაც თავადვე ყიდიან მას, ან აბარებენ გადამყიდველებს ბითუმად. საშუალო მწარმოებლების ერთი ნაწილი, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის მეფრინველეობა, ან მეცხოველეობა, მიღებულ სიმინდს იყენებს საკუთარი მოურნეობისათვის, ხოლო მეორე ნაწილი, აგრეთვე მსხვილი მწარმოებლები მიღებულ მოსავალს ყიდიან აღებისთანავე ბითუმად, მსხვილ მეფრინველეობის ან მეცხოველეობის ფერმებზე, რომლებიც არიან სიმინდის ძირითადი მომხმარებლები ქვეყანაში, ან კიდევ სპეციალურ მეურნეობაში ახდენენ სიმინდის გაშრობას, შენახვას და წლის მანძილზე ყიდიან ეტაპობრივად, როცა ფასი შედარებით მაღლა იწევს. მიზნობრივ რეგიონებში საშალოდ 30 საშალო და 15 დიდი სიმინდის მწარმოებელია.
- **ცხოველთა შეჯვარების მეურნეობები - ისინი მოიხამრენ დაახლოებით 60% მოყვანილ სიმინდს ცხოველთა საკვებად.** მსხვილი მეცხოველეობის და განსაკუთრებით მეფრინველეობის ფერმები, როგორც წესი შემოდგომაზე

ცდილობენ სიმინდის გარკვეული მარაგის შექმნას საკუთარი ფინანსური და შენახვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ვინაიდან შემოდგომაზე მოსავლის აღებისას არსებული ფასი მომდევნო მოსავლის მიღებამდე 30%-ით, ზოგჯერ 50%-თაც კი იზრდება. ისინი ყიდულობენ სიმინდს დიდი რაოდენობით პირდაპირ დიდი მწარმოებლებისგან ან ბითუმად მოვაჭრეებისაგან. ასევე აღსანიშნავია რომ ცხოველთა შეჯვარების ფერმერები იძენენ იმპორტირებულ სიმინდს (ძირითადად უკრაინიდან), რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე და მისი ფასი 10-15%-ით უფრო იაფია ადგილობრივ წარმოებულთან შედარებით. თუმცა, ადგილობრივი მომხმარებლები თვლიან რომ ამ ნაწარმის ნოყიერება გაცილებით დაბალია ვიდრე ადგილობრივის.

- **საექპორტო გაყიდვები.** ძალიან ცოტა, მაქსიმუმ 5 % მიღებული სიმინდისა ექსპორტირებულია სასომხეთსა და აზერბაიჯანში. დიდი ზომის ფერმერებიც კი არ აექსპორტირებენ თავიანთ ნაწარმს. ძირითადად გადამყიდველები ან ბითუმად მოვაჭრეები აგროვებენ საჭირო რაოდენობის სიმინდს იმერეთსა და ძირითადად სამეგრელოს რეგიონებშ და აექსპორტირებენ მათ თავიანთ პარტნიორ ქვეყნებში. მსაგვსი გაყიდვების ადგილი აბაშს მუნიციპალიტეტში მდებარეობს.
- **საბოლოო მომხმარებლები ადგილობრივ ბაზარზე, სურსათი და რესტორნები.** სიმინდს, ძირითადად სიმინდის ფქვილისგან დამზადებული პურს, მოიხმარენ ოჯახობები, და რესტორნებში, შესაბამისად სიმინდის ფქვილზე მაღალი მოთხოვაა. სოფლის მოსახლეობა ამუშავებს სიმინდს წისქილში თავისით, ქალაქის მოსახლეობა კი ან ყიდულობს სიმინდს და მიაქვთ წისქვილში, ან პირდაპირ იძენენ სიმინდის ფქვილს. ბაზარზე შესაძლებელია შიძინონ როგორც ცალკე სიმიინდი ისე სიმინდის ფქვილიც. ძირითადად ადგილობრივი გამყიდველებს მიაქვთ სიმინდი იმ წისქვილებში სადანც მათ ურჩევნიათ და შემდეგ გააქვთ გასაყიდად ბაზარზე. რესტორნებიც ძირითადად ყიდულობენ სიმინდს და შემდეგ ფქვავენ მას საჭირო რაოდენობით. იმისათვის რომ მაღალი ხარისხის სიმინდის ფქვილი მივიღოთ აუცილებელია წისქვილი იყოს გამართული და წმინად დაფქვას სიმინდი, ასევე უკეთესია დაფქულ მდგომარეობაში შენახვას თუ შეინახება სიმინდი და შემდეგ დაიფქვება.
- **შენახვის ადგილი-** არსებობს მხოლოდ ერთი შენახვის ადგილი რეგიონში დიდი ზომის ფერმერთათვის, რომელიც მდებარეობს სამეგრელოსა და აბაშს მუნიციპალიტეტებში. ეს ადგილი არა მხოლოდ საქონლის შენახვის საშუალებას იძლევა, არამედ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და სიმშრალეს, რომელიც აუცილებელია სიმინდის ხარისხის შესანარჩუნებლად.
- **წიქვილი** - სოფელში ერთი მაინც, ქალაქში კი რამოდენიმე წისქვილია. ეს წისქვილები ემსახურება ინდივიდებს, რომლებთაც აქვთ სიმინდი პირადი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად თუ რესტორნებისთვის. ზოგადად წისქვილების რაოდენობა საკმარისია და მათი რაოდენობა ემთხვევა მოთხოვნას.

სქემა 1. წარმოებული სიმინდის განაწილება დისტრიბუციის სახეების მიხედვით



4.4 პროდუქტის ფასი

ფასები სიმინდსა და სიმინდის ფქვილზე სეზონურად იცვლება. ფასი აღწევს თავის მინიმუმს შემოდგომაზე, მოსავლის აღების დროს და თანდათანობით იზრდება მომავალ მოსავლამდე. ასევე აღსანიშნავია რომ ბითუმად და საცალო ფასები რეგიონში თითქმის იგივეა რაც ზოგადად ქვეყანაში. ცხრილი 1 გვიჩვენებს საშალო ფასებს პიკის და დანარჩენ დროს. როგორც ნაჩვენებია, სიმინდის ფასი შეიძლება გაიზარდოს 50%-თაც კი მომავალ მოსავლამდე.

ცხრილი 1. პროდუქტის საბითუმო ფასები მაღალ და დაბალ სეზონებზე[7].

პროდუქტის სახეობა	საშუალო მინიმალური ფასი, ლარი/კგ	საშუალო მაქსიმალური ფასი, ლარი/კგ
ადგილობრივი სიმინდი	0.45	0.8
იმპორტირებული სიმინდი*	0.35	0.45
სიმინდის ფქვილი	1.1	2.5
თივა (ლარი/შეფუთვა)	0.5	0.6

[7] იმპორტირებული სიმინდი ძირითადად მეორეხარისხოვანია და ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა და ფრინველთა საკვებად.

დამატებით, საშუალო ფასი დამოკიდებულია მოსავლის რაოდენობაზეც, რომელიც თავისთავად განისაზღვრება ამინდით და მარცვლეულის ხარისხით.

5 კონკურენტუნარიანობის ალმასის მოდელი: - რესურსების პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე სექტორები, კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსების პირობები

პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია რამდენიმე ძირითადი კომპონენტი, კერძოდ:

სათესლე მასალა. ხარისხიანი სათესლე მასალა მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსავლის სათანადო რაოდენობით მიღებისათვის. როგორც ფერმერები აცხადებენ, ჰიბრიდული სათესლე მასალების ხარისხი სასურველია კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მიერ, ვინაიდან ფერმერს თავად ამის საშუალება არ აქვს. შედეგად ჰიბრიდული ჯიშების შემოტანის პირველ წლებში განსაკუთრებით ხშირი იყო შემთხვევები, როცა უხარისხო, ან ადგილობრივ პირობებთან შეუსაბამო ჰიბრიდული თესლის გამო ფერმერს განუცდია ზარალი. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური სათესლე მეურნეობები, არცერთი ადრე არსებული მეურნეობა აღარ ფუნქციონირებს, რის გამოც ჰიბრუდული სიმინდის სათესლე მასალა სრულად შემოტანა არის: აშშ, გერმანია და საფრანგეთი. ყოველწლიურად ქვეყანაში შემოდის დაახლოებით 500–550 ტონა სათესლე მასალა.

სურათი 3. აგრო მაღაზია ზესტაფონში

სასუქები და შესაწამლი საშუალებები. შესაწამლი საშუალებები ძირითადად გამოიყენება ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ. ბაზარზე არსებობს რამდენიმე საშუალება რომელიც უმკლავდება ამერიკულ პეპლებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია გერმანული წარმოების თხევადი პრეპარატი „პიროფოსი". მისი ფასი არის 30 ლარი 1 ლიტრი და საკმარისია 1,5 ჰა მიწის ნაკვეთისათვის. სიმინდის ნათესებში სარეველების წინააღმდეგ ძირითადად გამოიყენება გერმანული წარმოების პრეპარატები „ბიოპაუერი“ და „მაისტერი“. 1 ლიტრი, რომლის ღირებულება არის 95 ლარი, იხსნება 300 ლიტრ წყალში და განკუთვნილია 1ჰა ფართობისათვის. აგროქიმიკატები იწარმოება როგორც ადგილობრივ ასევე საზღვარგარეთ. ქვეყნის შიგნით აგროქიმიკატების წარმოება ხდება ქ. რუსთავში, ქიმიურ ქარხანაში. ერთი ორმოცდაათ კილოგრამიანი ტომარა აზოტოვანი სასუქის ღირებულება არის საშუალოდ 45 ლარი, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული. კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერთა უმეტესობა, დაახლოებით 65%, მოიხმარს ქართული წარმოების სასუქებს. დანარჩენი 35 % კი იყენებს იმპორტირებულ აგროქიმიკატებს, რომლების შეძენა შესაძლებელია აგრო მაღაზიებში, მუნიციპალურ ცენტრებსა და მსხვილ თემებშიც.

ტექნიკა. საოჯახო მეურნეობები სიმინდის მოყვანასთან დაკავშირებულ ცალკეულ ოპერაციებს ასრულებენ ხელით (მაგალითად, თოხნიან ყანას, ან ხელით ახდენენ მოსავლის აღებას) ან პირუტყვის გამოყენებით, როგორიცაა ხარი და ცხენი (მაგალითად სიმინდის კულტივაციას მწკრივებს შორის, ასევე მოსავლის ტრანსპორტირებას და სხვ.). საშუალო და მსხვილი მეურნეობები სრულად იყენებენ თანამედროვე ტექნიკას, რომელთა ნაწილი აქვთ საკუთრებაში, ნაწილის მომსახურებას კი იღებენ მექანიზაციის ცენტრებიდან. თუმცა ხშირ შემთხვევაში გამოთქვამენ უკმაყოფილობას, რომ მექანიზაციის ცენტრები აგვიანებენ მომსახურების გაწევას, რაც ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ფერმერთა ნაწილი ასევე გამოთქვამს უკმაყოფილობას მომსახურების მაღალ ფასებზე.



სურათი 4. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ცენტრი ზესტაფონში

5.2 მოთხოვნა

2013 წელს სიმინდის წლიური მოხმარება საქართველოში უდრიდა 503 ათასი ტონას (წინა წლის მარაგების ჩათვლით), მათგან სათესლედ გამოიყენეს 5 ათ. ტ, პირუტყვის საკვებად - 146 ათ. ტონა, ხოლო სასურსათო მოხმარებისათვის - 118 ათ. ტონა. ამავე წელს, ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა 56 ათ. ტონა, ხოლო ექსპორტირებული - 40 ათ. ტონა სიმინდი. 2013 წლის ოფიციალური სტატისტისკის მონაცემებით, საქართველოს სიმინდით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენს 96%-ს, რომელიც მიჩნეულია მუდმივად მაღალ მაჩვენებლად ბოლო წლების განმავლობაში. ცხრილი 2 გვიჩვენებს სიმინდის ბალანსს 2006-2013 წლებში.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საწყისი მარაგი	92	31	48	60	46	26	60	83
შიდა წარმოება	**217**	**296**	**328**	**291**	**141**	**270**	**267**	**364**
იმპორტი	42	16	16	32	16	25	23	56
მთლიანი მიწოდება/ მოხმარება	**351**	**343**	**392**	**383**	**203**	**321**	**350**	**503**
თესლი	4	4	5	5	4	5	4	5
ცხოველთა საკვები	132	136	155	152	70	120	120	146
საკვები	140	125	150	161	88	124	109	118
ნარჩენები	16	13	15	14	5	10	11	15
ექსპორტი	28	17	7	5	10	2	23	40
საბოლოო რეზერვი	31	48	60	46	26	60	83	179
თვითუზრუნველყოფა, %	94	100	97	92	96	92	100	96

სიმინდის დიდი ნაწილი, რომელიც ადამიანთა მოხმარებისთისაა განკუთვნილი, ძირითადად სიმინდის ფქვილისთვის გამოიყენება. დანარჩენი კი ღერღილისა და სხვა დაკავშირებული პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება. სიმინდის ფქვილისაგან ოჯახები აცხობენ მჭადს, რომელსაც ცხელ მდგომარეობაში მიირთმევენ. მჭადი ქართული ტრადიციული სამზარეულოს თითქმის ყოველდღიური ნაწილია, განსაკუთრებით დასავლეთში. მოხარშული ახალგაზრდა მთლიანი სიმინდის მტევანი ასევე ძალიან პოპულარული საკვებია ზაფხულის პერიოდში. მაგრამ ის არ გამოიყენება როგორც ძირითადად საკვებად, მას როგორც დესერტს ისე მიირთმევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში სიმინდზე მოთხოვნის მოცულობა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება ქვეყანაში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებაზე, ასევე საექსპორტოდ დამატებითი ბაზრების მოძიებაზე.

5.3 მონათესავე სექტორები

სამიზნე რეგიონში არსებობს სიმინდის მარცვლის დასაფქვავი წისქვილები, რომელთა საშუალებითაც ახდენენ როგორც სასურსათო დანიშნულების სიმინდის ფქვილის წარმოებას, ასევე ფრინველისა და პირუტყვის საკვების წარმოებას. 1 კგ. სიმინდისაგან სასურსათო დანიშნულების ფქვილის წარმოების ღირებულება არის 5-10 თეთრი, ხოლო პირუტყვის საკვებად 1 კგ სიმინდის გადამუშავების ღირებულება - 2-4 თეთრი. იმერეთისა და რაჭის რეგიონების თითოეულ სოფელში არის სულ ცოტა 1, ზოგიერთ დიდ სოფელში კი 3-4 წისქვილი.

სიმინდის წარმოებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სიმინდის შესანახი მეურნეობის ფუნქციონირება. ასეთი მეურნეობა დასავლეთ საქართველოში არსებობს მხოლოდ სამეგრელოში, აბაშის მუნიციპალიტეტში, რომელიც გათვლილია დაახლოებით 25-30 ათას ტონა სიმინდზე. ის აშენდა 2010 წელს. პროდუქციის მიტანისას მეურნეობაში ხდება მისი გაშრობა, გაწმენდა, შენახვა. საწარმოს შესაძლებლობა აქვს გააშროს ნებისმიერი სახის მარცვეული, მათ შორის ხორბალი, ქერი და სხვა. ის აღჭურვილია იტალიური და არგენტინული წარმოების საშრობი და შესანახი დანადგარებით. მისი მომსახურების ღირებულება არის: 1კგ მარცვლის გაშრობა, განიავება და ერთი თვის მანძილზე შენახვა - 7 თეთრი, ხოლო ყოველ შემდგომ თვეში შენახვა - 0,5 თეთრი.

სურათი 6. მარცვლეულის შესანახი ცენტრი აბაშაში

ამჟამად აღნიშნული საწარმო დაუტვირთავობის გამო არამომგებია, რის გამოც სახელმწიფო, როგორც დამფუძნებელი გეგმავს აუქციონის გზით მის გაყიდვას. ნულოვანი მოგების მიღწევისათვის აუცილებელია საწარმოს საშუალო წლიური დატვირთვა იყოს 3-4 ათასი ტონა მაინც.

სიმინდის მეწარმეებისათვის თითქმის შეუძლებელია შეიძინონ და შინახონ მსგავსი სიმინდის შემნახველი დანადგარი, დაბალი მოქნილობისაც კი, გარდა იმ შემთვხვევისა თუ ისინი გაერთიანდებიან ამ საკითხის გარშემო. ვერცერთი დიდი მეწამე ვერ მისცემს თავს უფლებას ააშენოს და შემდეგ ამუშაოს მსგავსი რამ მხოლოდ ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

5.4 კონკურენცია

ქვეყნის შიგნით სიმინდის ბაზარზე კონკურენცია დიდი არ არის. მიღებული პროდუქციის რეალიზაცია მთელი წლის მანძილზე ხდება ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასად, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება წარმოების თვითღირებულებას. სწორედ მოთხოვნის არსებობა იწვევს იმას, რომ სიმინდის სარეალიზაციო ფასები გაზაფხულსა და ზაფხულზე შემოდგომასთან შედარებით დაახლოებით 30-50%-ით იზრდება.

შედარებით დაბალი ფასი აქვს იმპორტირებულ სიმინდს, თუმცა აღნიშნული სიმინდი ადგილობრივ მწარმოებელთა განცხადებით საკვები ღირებულებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქართულ სიმინდს, შესაბამისად ის ღირსეულ კონკურენციას ვერ უწევს ამ უკანასკნელს, რაც ნათლად ჩანს კიდეც მის მიერ ბაზარზე დაკავებულ ხვედრით წილზე.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 სიმინდის წარმოება - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

საქართველოში სიმინდის წარმოებასა და გადამუშავებაზე სახელმწიფოს მიერ რაიმე სახის კონტროლის პროცედურები კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში არ ხორციელდება. თავად ფერმერები აცხადებენ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მიიღება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, არ იყენებენ ქიმიურ საშუალებებს დასაშვები ნორმის ზემოთ, რის შედეგადაც წარმოებული პროდუქცია არის მაღალი ხარისხის და შესაბამისად მაღალი საკვები ღირებულების. სამწუხაროდ, შეუძლებელია ვიკამათოთ უსაფრთხოებისა და ხარისხის თემაზე, მანამ სანამ არ იარსებებს დასაყრდენი მონაცემები ამ თემასთან მიმართებაში.

7 ექსპლუატაციური მწარმოებლურობა - დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 დამუშავება

მიღებული სიმინდის დამუშავებაში შეიძლება გამოიყოს ორი მიმართულება: დამუშავება სასურსათო მოხმარებისათვის და დამუშავება ფრინველისა და ცხოველის საკვების მისაღებად. სასურსათო მიმართულებით, როგორც ზემოთ აღინიშნა სიმინდისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც გამოიყენება მჭადის, ან ღომის დასამზადებლად. სიმინდის ფქვილის დაფასოება და შეფუთვა, როგორც წესი არ ხდება და პირველადი სახით მიეწოდება მწარმოებლისაგან ბაზარს, დიდ ნაქსოვ ჩანთებში.

ფრინველისა და ცხოველის საკვებად სიმინდის მარცვალს აქუცმაცებენ რამდენიმე ნაწილად და ურევენ გარკვეული პროპორციით სხვა ინგრედიენტებს, მაგალითად დაქუცმაცებულ ხორბალს, სოიოს და ა.შ. იმის მიხედვით თუ რისთვის მზადდება საკვები.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

ტრანსპორტირება გამოიყენება ორ ძირითად შემთხვევაში - მიღებული მოსავლის ყანიდან ტრანსპორტირებისათვის და პროდუქციის ბაზრისათვის მიწოდებისათვის. წვრილი საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი საყანე მიწის ფართობებს ფლობენ საკუთარ საცხოვრებელთან ახლოს, ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა ეს ფართობები არის არაუმეტეს 1,1 ჰა. შესაბამისად, ისინი მოსავლის ტრანსპორტირებისათვის ხშირ შემთხვევაში არ საჭიროებენ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებას და იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას - ხარს, ცხენს. ცალკეულ შემთხვევებში კი ქირაობენ მისაბმელიან ტრაქტორებს, ან სატვირთო მანქანებს. რაც შეეხება სიმინდის, ან სიმინდის ფქვილის მიწოდებას ბაზრისათვის - ამისათვის ისინი იყენებენ ან საკუთარ მსუბუქ ავტომობილებს, ან კიდევ საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები მოსავლის ტრანსპორტირებისათვის იყენებენ მაღალი ტვირთამწეობის (25 ტ.) ავტომობილებს, რომლის მომსახურება თითოეულ რეისზე ღირს 200-250 ლარი, შესანახიდან 15-25 კმ-ის რადიუსში სიმინდის ტრანპორტირებისათვის.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

ზემო იმერეთსა და რაჭაში სიმინდს დაავადებები ნაკლებად უჩნდება, თუმცა ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებები არის ფარვანა, ხვატარი, ასევე ამერიკული თეთრი პეპელა. მის წინააღმდეგ რამდენიმე საშუალება გამოიყენება, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია გერმანული წარმოების თხევადი პრეპარატი „პიროფოსი".

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი - პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა

წვრილ საოჯახო მეურნეობებს რაიმე სახის დისტრიბუციის ქსელი არ გააჩნია, ისინი როგორც კვლევამ აჩვენა, ნამეტ პროდუქტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თავადვე გაიტანენ რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე, ან კიდევ ყიდიან ოჯახიდან მეზობლად მცხოვრებ ფერმერებზე.

საშუალო და მსხვილი მწარმოებლები კი მოსავლის აღებისას, მისი ადგილზევე რეალიზაციის სურვილის შემთხვევაში უკავშირდებიან მსხვილ მეფრინველეობის ან მეცხოველეობის ფერმებს და მორიგების შემთხვევაში ადგილიდან ყიდიან მოსავალს. როგორც წესი ეს ძირითადად მოლაპარაკების საფუძველზე ხდება, რომელიც დამყარებულია რეპუტაციასა და კოოპერაციის გამოცდილებაზე ფერმერთა შორის. მეწარმეებს ასევე გადააქვთ პროდუქტი აბაშის შემნახველ მეურნეობაში, სადაც დაინტერესებული მყიდველი თავად მიდის, უთანხმდება სიმინდს მეპატრონეს ფასზე და მიწოდების პირობებზე.

მცირე მეწარმეები ერთმანეთში ავრცელებენ ინფორნაციას. ისინი ასევე იღებენ ძირითად კონსულტაციებსა და ინსტრუქციებს აგრო მაღაზიებიდან.

9 ინსტიტუციები, სოციალური კაპიტალი, ადამიანური რესურსები და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

საოჯახო მეურნეობებს მესიმინდეობის სფეროში ცოდნა დაგროვილი აქვთ ტრადიციებიდან გამომდინარე, რომლის განახლება და გაზიარება ძირითადად ხდება ფერმერთა შორის პირადი ურთიერთობების შედეგად. თუმცა პერიოდულად რეგიონულ და მუნიციპალურ ცენტრებში ტარდება ტრენინგ-სემინარები დარგში არსებული სიახლეების შესახებ, ფერმერთა მომსახურბის ცენტრების, თუ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ორგანიზებით. ასევე გამოიცემა სხვადასხვა საინფორმაციო მასალები, თუმცა საოჯახო მეურნეობებს არ აქვთ წვდომა მათზე და როგორც კვლევამ აჩვენა, ასევე არ აქვთ დიდი ინტერესი მსგავსი აქტივობების მიმართ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მათ საკმარისი ცოდნა აქვთ დაგროვილი ამ სფეროში. მიგვაჩნია, რომ მათი ასეთი დამოკიდებულება, არის ერთერთი წინაპირობა მათი მეურნეობების დაბალი პროდუქტიულობისა.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

ქვეყანაში სიმინდის მოყვანის პროფესიულ დონეზე შესწავლისათვის საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (თბილისში) არსებობს აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც 4 წლიანია და კურსდამთავრებულს ეძლევა დიპლომი აგრონომიის ბაკალავრის ხარისხით. რეგიონში კი მსგავსი განათლების მიღების შესაძლებლობა არ არსებობს.

9.3 სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობა

დარგში კოოპერირების დონე საკმაოდ დაბალია. რეგიონში არ არსებობს არც ერთი ოფიციალური კოოპერატივი, რომლის მიზანი სიმინდის მოყვანა ან/და რეალიზაციაა. თუმცა, ინდივუდუალურ მწარმოებელთა შორის არსებობს არაფორმალური ურთიერთოები, რომლის ფარგლებშიც ისინი აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას შესაწამლი საშუალებების, მყიდველების და სხვა საკითხების შესახებ, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ერთად ახდენენ სათესლე მასალის, სასუქების, შესაწამლი საშუალებების შეძენას, ასევე მექანიზაციის საშუალებების ერთობლივ დაქირავებას და ა.შ. რაც მათ გარკვეული ეკონომიის გაკეთების საშუალებას აძლევს.

კვლევამ აჩვენა, რომ წვრილი საოჯახო მეურნეობების ინტერესი და ნდობა კოოპერატივში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არის დაბალი და ამის წარმატებული პრეცენდენტებიც თითქმის არ არსებობს. საშუალო და მსხვილ მწარმოებელთა ნაწილი კი სასურველად მიიჩნევს კოოპერირებას, თუმცა ვერცერთი ბედავს სათავის აღებას მსგავსი ინიციატივის განსახორციელებლად.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს-გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

სურათი 7. ფერმერთა მომსახურების ცენტრი იმერეთში

საქართველოში ბიზნეს გარემო ზოგადად და კონკრეტულად სიმინდის წარმოების კუთხით საკმაოდ მიმზიდველია, ვინაიდან არსებობს ყველა საჭირო რესურსი დარგის განვითარებისათვის, საკმაოდ ლიბერალურია საგადასახადო დაბეგვრის სისტემა, რომლის შესაბამისადაც სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება, მათ შორის სიმინდის წარმოებაც გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან. ასევე პრაქტიკულად მოგვარებულია ბოლო წლების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ქვეყანაში თანამედროვე მექანიზაციის საშუალებები - სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული მექანიზაციის ცენტრები თითქმის შევსებულია ტექნიკით და დახვეწის პროცესში არის მათი სერვისებიც. სახელმწიფოს მიერ მოგვარდა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა სიმინდის მოსავლის შენახვისა, აბაშის შესანახი მეურნეობის შექმნით და ა.შ. ბაზარი სრულად თავისუფალია ქვეყნის შიგნით და არ არსებობს რაიმე სახის ფორმალური თუ არაფორმალური ბარიერები.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი მიმართულება, რომელშიც სიმინდის ადგილობრივი მწარმოებლები სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვენ არის შემდეგი:

თანამედროვე მექანიზაციის საშუალებებსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შეღავათიანი გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების გამოყენების გზით, ან ამ საშუალებათა ლიზინგის წესით აღების შესაძლებლობების გაჩენა;

სიმინდის თესლის, შესაწამლი საშუალებებისა და სასუქების ხარისხის კონტროლი. კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერები ცალკეულ შემთხვევაში უკმაყოფილონი არიან სიმინდის თესლის, შესაწამლი საშუალებებისა და სასუქების ხარისხით, ვინაიდან მათი უხარიხობის გამო ცალკეულ წელს ზარალიც კი მიუღიათ, თუმცა თავად ხარისხის დადგენის არანაირი მექანიზმი არ გააჩნიათ, ამიტომ მოიხოვენ, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ამის განხორციელება.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

S • მესიმინდეობის ხანგრძლივი გამოცდილება; • სიმინდის მოსაყვანად ნაყოფიერი ნიადაგი; • სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად; • მარცვლეულის შესანახი მეურნეობის არსებობა	W • დაბალი პროდუქტიულობა და მაღალი თვითღირებულება წვრილ საოჯახო მეურნეობებში; • საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • წვრილ მწარმოებელთა მენეჯერული გამოცდილების ნაკლებობა
O • მსოფლიოში გავრცელებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; • კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობა; • დარგში ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობა ქვეყნის გარეთ; • ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების ფართოდ დანერგვა	T • ფასების დაცემის რისკი; • უხარისხო სათესლე მასალის შემოტანა

11.2 სიმინდის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი

ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების (მათ შორის, გვალვაგამძლე ჯიშების) **დანერგვის ხელშეწყობა,** რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ მოსავლის ყოველწლიური მოცულობა და შეამცირონ კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების ხარისხი;

სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების წარმოება რათა მოხდეს არსებული სახნავი ფართობის გაზრდისა და უკვე გამოყენებადი ფართობის ხარისხის ამაღლება;

მექანიზაციის საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მიუხედავად მექანიზაციის ცენტრების არსებობისა, მათი მომსახურების ხარისხი არ არის მაღალი, ტექნიკის არასაკმარისობის გამო ვერ ხდება მომხმარებლების დროული მომსახურება აგროვადების შესაბამისად.

კოოპერირების განვითარების ხელშეწყობა დარგში. იმის გამო, რომ არსებული მეურნეობები მცირე ზომის არის, თითოეული ცალ-ცალკე ვერ ახერხებს თანამედროვე ძვირადღირებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების შეძენას, რაც აუცილებელია პროდუქტიულობის გაზრდისათვის. ამ პრობლემის მოგვარების ერთერთი ეფექტური გზა შეიძლება იყოს კოოპერირების საშუალებით მეურნეობების მოცულობის ზრდა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე.

12 ბიბლიოგრაფია

- სასოფლო-სამეურნო მიმართულების ვებ-გვერდი "მეურნე" http://meurne.sknews.ge/index.php?newsid=171#.U8ppfvl_ugs
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სიმინდზე მოთხოვნის დინამიკა, საშუალო მწარმოებლურობა, http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი http://agruni.edu.ge/ge/node/419
- პროფესორი პაატა კოღუაშვილი, ქართული ჰიბრიდული ჯიშები http://for.ge/view.php?for_id=4308&cat=1